შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს აგს-ის საფირმო სტილში სარეკლამო გაფორმებასთან

ტენდერის პირობები

თავი I. <u>**საერთო დებულებები**</u>

1. სამუშაოები უნდა განხორციელდეს კომპანიის მიერ, რომელსაც აქვს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება.
2. გამარჯვებულმა კომპანიამ მუშაობის დროს უნდა დაიცვას სახანძრო და შრომის უსაფრთხოების ყველა სტანდარტი.
3. შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კონტრაქტორის შეუფერხებელი დაშვება სამუშაოების შესასრულებლად.

თავი II. <u>**სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**</u>

1. კომპანიის (პრეტედენტის) შესახებ ინფორმაციას:

- აუცილებელი პირობა - მონაწილე აუცილებლად უნდა იყოს კომპანია-რეზიდენტი;
- კომპანიის სრული დასახელება;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტიური მისამართი;
- ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა;
- საკონტაქტო პირი;
- საბანკო რეკვიზიტები;
- კომპანიის ხელმძღვანელ(ებ)ის მონაცემები;
- მსგავსი მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ მონაცემები;
- სერტიფიკატი ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ტენდერში მონაწილეს აქვს უფლება გასწიოს მსგავსი ტიპის მოსმახურება.
- კომერციული წინადადების ღირებულება მოცემული უნდა იყოს ლარში. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ყოველი ობიექტისთვის და რეზერვუარისთვის შესასრულებელი სამუშაოს კალკულაციას.

2. საკვალიფიკაციო დოკუმენტები ტენდერში მონაწილეობისთვის წარსადგენად:

- პრეტედენტის მონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- შესაბამისი ორგანოების შეტყობინება ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის პროცესის არ არსებობის შესახებ;

- საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების არ არსებობის შესახებ ცნობა;
- მსგავსი მომსახურებებისა შესახებ ინფორმაცია;

ტენდერის მონაწილის ინსტრუქცია - ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი;

3. სატენდერო წინადადება

- ტენდერში მონაწილის კომერციული განცხადება უნდა შეცავდეს ტექნიკური დავალების შესასრულებლად აუცილებელი ყველა მასალისა და სამუშაოს ღირებულებას, დღგ-ს ჩათვით, აშშ დოლარში.

<u>სატენდერო პროცედურები</u>

<u>1. ტენდერი ჩატარდება ღია ფორმით.</u>

1.1. ტენდერის თარიღი – **31 აგვისტო 2022 წელი, 15:00. ჩატარების ფორმატი - შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია"-ს სათაო ოფისი.**

1.2 ტენდერის ჩატარების ადგილი - თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპ ს,,ლუკოილ-ჯორჯია"-ს ოფისი.

1.3 ტენდერის მონაწილეებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში 2022 წლის 29 აგვისტოსა 12:00 საათამდე. მონაწილის კონვერტები წარმოდგენილი უნდა იყოს პრეტედენტის ინსტრუქციის 12.3 მუხლის შესაბამისად. კონვერტზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი და მასალა, რომელიც მოთავსებულია კონვერტში.

1.4. კონვერტები მონაწილეთა მიერ წარდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, შპ ს,,ლუკოილ-ჯორჯია"-ს ოფისი.

1.5 ვაჭრობაში მონაწილეობს ორგანისაზიის-პრეტედენტის არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.

1.6 კონვერტები კომეციული წინადადებებით იქნება გახსნილი ტენდერის დროს, რომლის შემდეგაც გაიმართება ვაჭრობა პრეტედენტებს შორის.

<u>განსაკუთრებული პირობები</u>

1. ხელშეკრულება გაფორმდება ტენდერის იმ მონაწილესთან, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სატენდერო კომისიის მოთხოვნებს.

2. გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ღია ვაჭრობის დასრულებიდან და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებიდან.

3. თუ წინადადება, რომელიც ტენდერის მონაწილემ წარმოადგინა, იქნება არასწორი ან არასრული, მოხდება ამ მონაწილის დისკვალიფიკაცია.

4. წინადადების განხილვის დროს კომისია უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია აუცილებლობის შემთხვევაში. კონკურსის მონაწილის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში , მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

5. კომპანია არ აგებს პასუხს ხარჯებზე, რომლებიც გაწეულ იქნა ვაჭრობის პროცესში მონაწილის მიერ, იმიდა მიუხედავად გაფორმდება თუ არა ამ მონაწილესთან ხელშეკრულება.

6. კომპანია არ არის ვალდებული გააკეთოს თავისი გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება მონაწილეებისათვის ტენდერის ჩაშლის ან საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე.

7. შპს ,,ლუკოილ-ჯორჯია“ არ იღებს ვალდებულებას, რომ დადებს ხელშეკრულებას ტენდერის რომელიმე მონაწილესთან.

საკონტაქტო პირი:

ევგენი ლიმანოვ

+ 995 595 333 223